თინათინ კუხიანიძე
ნინო გორდელაძე

ნამდვილი და მოგონილი ამბები

საკითხავი და სავარჯიშოები პირველკლასელთათვის

ჩააკარი შენი ფოტო

სახელი ----------

გვარი ----------

მასწავლებლის ტექსტი

მოსწავლის ტექსტი

წინასაანბანო პერიოდი

დახატე პორტრეტები

სთხოვეთ ბავშვს, ფანქრებით, შეძლებისდაგვარად, დახატოს მეგობრების პორტრეტები, ავტოპორტრეტი და მიანიშნოს სახელი: თითოეულ პორტრეტთან დაასმევინეთ იმდენი წერტილი, რამდენი ბგერისგანაც შედგება სახელი.

ჩემი მეგობარი

ჩემი მეგობარი

მე

იპოვე ხუთი განსხვავება

ა

ბ



ნაწერი და ნახატი

ა

და და ძმა კენკრის
საკრეფად ტყეში წავიდნენ.

ბ

ბავშვებმა უამრავი კენკრა ჭამეს
და პირი სულ მოითხუპნეს.

გ

უცებ ბუჩქები შეირხა და იქიდან
ნაცარა კურდღელი გამოხტა.

დ

პატარებს ძალიან შეეშინდათ
და შინისაკენ გაიქცნენ.

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, ხელი დაადონ პირველ ნახატს. შემდეგ დაუსვით ქვემოთ მოცემულის მსგავსი შეკითხვები:

   ა. რა ხატია ამ ნახატზე?

   ბ. რას აკეთებენ ბავშვები მეორე ნახატზე?

   გ. რა გავიგეთ ამ ნახატებიდან, რა გადახდათ ბავშვებს ტყეში?

   ასევე იმუშავეთ სხვა ნახატებზეც.

2. სთხოვეთ მოსწავლეებს, შემოხაზონ წარწერები (სათითაოდ აპოვნინეთ ოთხივე ტექსტი). დაუსვით კითხვები:

   შენი აზრით, რა ეწერება ამ ნახატის ქვემოთ? მეორე ნახატის ქვემოთ?..

3. წაუკითხეთ ყველა ნახატის ქვეშ მოცემული ტექსტი. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ რაც სურათზე ხატია, იგივე წერია ქვემოთაც. მთავარია, მოსწავლეებმა გაიგონ, რომ ერთი და იმავე ამბის გადმოცემა შესაძლებელია ნახატითაც და სიტყვითაც.

4. ჰკითხეთ სხვადასხვა მოსწავლეს, რას დაარქმევდა ამ ამბავს. სთხოვეთ აგიხსნათ, რატომ შეარჩია ეს სათაური. მის მიერ შერჩეული სათაური ჩაუწერეთ შესაბამის ადგილას.

5. ქვემოთ მოცემულია წარწერები სხვადასხვა ენაზე. სთხოვეთ ბავშვს, ამოიცნოს ქართული წარწერა და შემოხაზოს ფანქრით.

6 შემდეგ გვერდზე მოცემული კითხვების დახმარებით აღწერეთ სურათი:

სურათის აღწერა



ა. სად არიან ადამიანები? ვინ რას აკეთებს?

ბ. იპოვე ნახატზე ბავშვები.

გ. რა ფერისაა ხეები? (წითელი, ყვითელი, ყავისფერი...)

დ. წელიწადის რომელ დროსაა ფოთლები ასეთი ფერის?

ე. ყოფილხარ ტყეში? ვინ წაგიყვანა?..

7 მოსწავლეებს უნდა აპოვნინოთ ზედმეტი ნახატი. ამისათვის:

ა. კითხვების დასმით (პირველი რა ხატია? ლეღვის გვერდით რა ხატია?..) ამოაცნობინეთ თითოეული ნახატი.

ბ. აუხსენით, რომ აქ მოცემულ ხილში შერეულია ორი ბოსტნეული. აპოვნინეთ ზედმეტი ნახატი და შემოახაზვინეთ წითელი ფანქრით.



საყვარელი საჭმელი

1 ამოაცნობინეთ ბავშვებს ნახატებზე მოცემული საკვები. სთხოვეთ, მწვანე ფანქრით შემოხაზონ მისთვის საყვარელი საჭმელი:



2 სთხოვეთ, მოცემულ ჩარჩოში ჩახატოს საჭმელი, რომელიც უყვარს და რომელიც აქ არ ხატია. დასვას იმდენი წერტილი, რამდენი ბგერისგანაც შედგება სიტყვა. შეეცადეთ გამოიცნოთ, რომელ საჭმელს დახატავს.